<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 143^3 მუხლის:

ა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებითა და თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის პირველი ნაწილი, 142-ე მუხლი, 142^1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143^3 მუხლის პირველი ნაწილი, 144^2 მუხლი, 155-ე მუხლი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 194^1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 223-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილები, 223^3 მუხლის პირველი ნაწილით, 226-ე მუხლი, 235-ე მუხლი, 239^1 მუხლი, 252-ე მუხლი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 259^4 მუხლი, 261-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 262-ე მუხლის 1^1 ნაწილი, 263-ე მუხლის პირველი ნაწილი, 284-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, 286^1 მუხლის პირველი ნაწილი, 286^2 მუხლის პირველი ნაწილი, 287-ე მუხლი, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე–302-ე მუხლები, 303-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე–306^1 მუხლები, 317-ე მუხლი, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 320-ე მუხლის პირველი ნაწილი, 321-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322^1 მუხლი, 322^2-ე მუხლის პირველი ნაწილი, 330^1 მუხლის პირველი ნაწილი, 331-ე მუხლის პირველი ნაწილი, 331^2 მუხლი, XXXIX თავი, 343-ე მუხლი, 343^1 მუხლი, 344^2 მუხლის პირველი ნაწილი, 345-ე მუხლის პირველი ნაწილი, 346-ე მუხლი, 405-ე მუხლი;“;

ბ) მე-12 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებაში მითითებული ვადით. აღნიშნული ვადა უნდა იყოს იმ ხანგრძლივობის, რაც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად.“.

გ) მე-12 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1-12^9 ნაწილები:

„12^1. ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება სამ ეტაპად ჩატარდეს და მისი ხანგრძლივობა საერთო ჯამში შეადგენს არაუმეტეს 9 თვეს, გარდა ამ მუხლის 12^7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. პირველ ეტაპზე პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება არაუმეტეს 3 თვის ვადით; მეორე ეტაპზე - ზემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს 3 თვის ვადით, ხოლო მესამე ეტაპზე - საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს 3 თვის ვადით.

12^2. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირველ ეტაპზე თუ შესაბამისი მიზანი ვერ იქნა მიღწეული და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირველი ეტაპით დადგენილი ვადა ბოლომდე არ ამოწურულა, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის დარჩენილი ვადით გაგრძელების თაობაზე. ამ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა.

12^3. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირველ ეტაპზე დადგენილი 3-თვიანი ვადა თუ სრულად ამოიწურა და შესაბამისი მიზანი ვერ იქნა მიღწეული, ზემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შესაძლოა გაგრძელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მეორე ეტაპით დადგენილი არაუმეტეს 3 თვის ვადით. ამ შუამდგომლობით ზემდგომი პროკურორი სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა.

12^4. თუ შესაბამისი მიზანი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მეორე ეტაპზეც ვერ იქნა მიღწეული და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მეორე ეტაპით დადგენილი ვადა ბოლომდე არ ამოწურულა, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის დარჩენილი ვადით გაგრძელების თაობაზე. ამ შუამდგომლობით ზემდგომი პროკურორი

სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა.

12^5. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მეორე ეტაპზე დადგენილი 3-თვიანი ვადა თუ სრულად ამოიწურა და შესაბამისი მიზანი ვერ იქნა მიღწეული, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შესაძლოა გაგრძელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მესამე ეტაპით დადგენილი არაუმეტეს 3 თვის ვადით. ამ შუამდგომლობით საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი პირველი მოადგილე სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა.

12^6. თუ შესაბამისი მიზანი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მესამე ეტაპზეც ვერ იქნა მიღწეული და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მესამე ეტაპით დადგენილი ვადა ბოლომდე არ ამოწურულა, საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი პირველი მოადგილე უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის დარჩენილი ვადით გაგრძელების თაობაზე. ამ შუამდგომლობით საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი პირველი მოადგილე სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია, გარდა ამ მუხლის 12^7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12^7. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მესამე ეტაპზე დადგენილი 3-თვიანი ვადა თუ სრულად ამოიწურა და შესაბამისი მიზანი ვერ იქნა მიღწეული, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით:

ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შესაძლოა კიდევ ერთხელ გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე ტარდება. თუ შესაბამისი მიზანი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ამ ეტაპზეც ვერ იქნა მიღწეული და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ამ ეტაპით დადგენილი ვადა ბოლომდე არ ამოწურულა, საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი პირველი მოადგილე უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის დარჩენილი ვადით გაგრძელების

თაობაზე. ამ შუამდგომლობით საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი პირველი მოადგილე სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შესაძლოა იმდენჯერ გაგრძელდეს რამდენჯერაც იარსებებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო ამ თავით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, თუ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 142-ე, 142^1, 143-ე-143^2, 144-ე-144^3, 155-ე, 157^1, 194-ე, 194^1, 223-ე-226-ე, 230-ე-232-ე, 234-ე-235^1, 239^1, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255^1, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე-321^1, 322^1-333-ე, 337-ე-339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343^1, 345-ე, 346-ე, 404-ე-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა თითოეულ ჯერზე შესაძლოა გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობით საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი პირველი მოადგილე სასამართლოს მიმართავს წინა განჩინებით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 72 საათისა.

12^8. ამ მუხლის 12^1-12^7 ნაწილებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის გაგრძელების შუამდგომლობაში, ამ კოდექსის 143^3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული გარემოებების გარდა, უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. ამ მუხლის 12^1-12^7 ნაწილებით გათვალისწინებული განჩინებების მიღების დროს მოსამართლე ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო ამ თავით გათვალისწინებულ შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს.

12^9. თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეწყდა ან ვერ დაიწყო და შემდეგ კვლავ წარმოიშვა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა გაგრძელდეს/დაიწყოს იმ ეტაპიდან, რომელზეც შეწყდა ან ვერ დაიწყო ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა გაგრძელდეს/დაიწყოს ამ თავით დადგენილი წესით.“.

2. 143^9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 142-ე, 142[1], 143-ე-143[2], 144-ე-144[3], 155-ე, 157[1], 194-ე, 194[1], 223-ე-226-ე, 230-ე-232-ე, 234-ე-235[1], 239[1], 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255[1], 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე-321[1], 322[1]-333-ე, 337-ე-339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343[1], 345-ე, 346-ე, 404-ე-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ იმ პირისთვის შეტყობინება, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, შესაძლოა იმდენჯერ გადავადდეს რამდენჯერაც ეს აუცილებელი იქნება იმისთვის რათა საფრთხე არ შეექმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს, საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებას. ამ შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შესაბამისი პირისთვის შეტყობინება, ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესით, თითოეულ ჯერზე შესაძლოა გადავადდეს არაუმეტეს 12 თვის ვადით. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შეტყობინების გადავადების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს ამ კოდექსის 143[3] მუხლის 12[1]-12[7] ნაწილებით განსაზღვრული თანამდებობის პირი იმის გათვალისწინებით, თუ რომელ ეტაპზე დასრულდა/შეწყდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**